



## სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### 1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: პრაქტიკული ბუღალტერია
პროგრამის სახე: <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 4 <input checked="" type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 13 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 10 მაქსიმალური - 15
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელთათვის ისეთი უნარების განვითარება, რომელთა გამოყენებით კურსდამთავრებული შეძლებს კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობას და ბუღალტრული ოპერაციების განხორციელებას.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებისა და პრინციპების ჩამოყალიბება;
2. პირველადი დოკუმენტების დახარისხება და ორგანიზაციის ანგარიშთა გეგმის შედგენა;
3. პირველადი დოკუმენტებიდან მონაცემების გადატანა შესაბამის მაგროეკონომიკურ დოკუმენტებში;
4. მაკორექტირებელი გატარებების განხორციელება და დროებითი ანგარიშების დახურვა;
5. ბრუნვათა უწყისის შედგენა;
6. დოკუმენტების მონაცემების შეტანა კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში;
7. სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის, სრული შემოსავლების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების შედგენა;
8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, და ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლისთვის ანგარიშგების მომზადება;
9. კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო დეკლარაციების შევსება და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარდგენა.

**პროგრამის შემუშავების საფუძველი:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (დამტკიცების რეკვიზიტები: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 2 20 0000648999, 31/07/2020)

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

პროგრამა განკუთვნილია არანაკლებ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის. სასწავლის ხანგრძლივობაა 13 კვ., კვირეული დატვირთვა 20 სთ, საკონტაქტო სთ. - 260 სთ.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირი შეძლებს პირველადი სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსური დოკუმენტაციის შედგენასა და მონაცემების კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში შეტანას; საგადასახადო დეკლარაციების შედგენასა და დადგენილი წესით წარდგენას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში.

მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: 1) განმავითარებელ შეფასებას - ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. 2) განმსაზღვრელ შეფასებას - ხორციელდება მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე, რაც გულისხმობს 2 ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სამეწარმეო, არასამეწარმეო ორგანიზაციებში, იმუშაოს კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში; შეადგენოს და დადგენილი წესით წარადგენოს საგადასახადო დეკლარაციები; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

პროგრამის განხორციელება შესაძლებელია როგორც სასწავლო გარემოში, ასევე სრულიად დისტანციურად.

## 2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თ ე მ ა ტ ი კ ა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები;</li> <li>• პირველადი დოკუმენტების კლასიფიკაცია;</li> <li>• ინვენტარიზაციის არსი და პროცედურა;</li> <li>• შეფასება და კალკულაცია;</li> <li>• ანგარიშთა სისტემა;</li> <li>• ორმაგი ჩაწერის ხერხი;</li> <li>• დარიცხვის მეთოდი;</li> <li>• ფინანსური ანგარიშგების არსი;</li> </ul>	1	20	ინტერაქტიული ლექცია	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა	A, B
2	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები;</li> <li>• ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები;</li> <li>• ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად დაშვება.</li> <li>• პირველად დოკუმენტების დალაგება სისტემატიზებულად და ქრონოლოგიურად;</li> <li>• პირველადი დოკუმენტების შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი ანგარიშების განსაზღვრა;</li> <li>• სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით ანგარიშთა გეგმის დამუშავება.</li> <li>• პირველადი დოკუმენტების მონაცემების გადატანა კრებსით დოკუმენტებში;</li> <li>• კრებსითი დოკუმენტების მონაცემების გადატანა შესაბამის ჟურნალებში</li> </ul>	1,2,3	20	ინტერაქტიული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა პრაქტიკული დავალება	A, B
3	<ul style="list-style-type: none"> <li>• კრებსითი დოკუმენტების მონაცემების გადატანა მთავარ წიგნში;</li> <li>• მონაცემების გადატანა მთავარი წიგნიდან საცდელ ბალანსში.</li> <li>• პირველადი დოკუმენტების მონაცემების შედარება მთავარი წიგნის მონაცემებთან;</li> <li>• პირველადი დოკუმენტების მონაცემებსა და მთავარი წიგნის მონაცემებს შორის ცდომილების აღმოჩენა;</li> </ul>	3,4	20	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B

	<ul style="list-style-type: none"> <li>• მაკორექტირებელი გატარებების განხორციელება;</li> </ul>					
4	<ul style="list-style-type: none"> <li>• დროებითი ანგარიშების დახურვა;</li> <li>• დროებითი ანგარიშების დახურვით მიღებული შედეგების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე;</li> <li>• სამუშაო ფურცლის შედგენა;</li> <li>• მუდმივი ანგარიშის ნაშთების გადატანა საბალანსო უწყისში.</li> <li>• საწყისი ნაშთების მონაცემების გადატანა ბუღალტრული ანგარიშებიდან ბრუნვათა უწყისში;</li> <li>• პერიოდის ბრუნვის მონაცემების გადატანა ბუღალტრული ანგარიშებიდან ბრუნვათა უწყისში;</li> <li>• საბოლოო ნაშთების გადატანა ბუღალტრული ანგარიშებიდან ბრუნვათა უწყისში.</li> </ul>	4; 5	20	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
5	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამის ინსტალაცია/განახლება;</li> <li>• ახალი ორგანიზაციის შექმნა;</li> <li>• ანგარიშთა გეგმის მომზადება;</li> <li>• სასტარტო ნაშთების შეყვანა;</li> </ul>	6	20	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
6	<ul style="list-style-type: none"> <li>• პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტებიდან მონაცემების გადატანა კომპიუტერულ ბუღალტრულ პროგრამაში;</li> <li>• პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების ფორმების შევსება კომპიუტერულ ბუღალტრულ პროგრამაში;</li> <li>• ახალი პროექტების შექმნა;</li> </ul>	6	20	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
7	<ul style="list-style-type: none"> <li>• სავალუტო ოპერაციების შესრულება;</li> <li>• აწყობილი სამეურნეო ოპერაციების გამოყენება.</li> </ul>	6	15	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
	<b>განმსაზღვრელი შეფასება</b>	1,2,3,4,5,6	10	-	<b>გამოკითხვა-ტესტი, პრაქტიკული დავალება</b>	A, B
8	<ul style="list-style-type: none"> <li>• სააღრიცხვო პოლიტიკის არსი;</li> <li>• ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები: საკასო და დარიცხვის მეთოდები;</li> <li>• სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის პრინციპები;</li> <li>• გრძელვადიანი აქტივების შეფასების მეთოდები;</li> <li>• ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის მეთოდები;</li> <li>• არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდები;</li> </ul>	7	15	ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სუბიექტის საადრიცხვო პოლიტიკის პროექტის შედგენა.</li> <li>• სრული შემოსავლების ანგარიშგების ელემენტები;</li> <li>• შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება</li> <li>• სრული შემოსავლების ანგარიშგების ფორმის შევსება;</li> </ul>					
9	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიღებული ფინანსური შედეგის ანალიზი;</li> <li>• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტები;</li> <li>• აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შეფასება;</li> <li>• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმის შევსება.</li> <li>• ფულად სახსრები და მათი ეკვივალენტები;</li> </ul>	7; 8	20	ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
10	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია სახეების მიხედვით;</li> <li>• ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მეთოდები (პირდაპირი და არაპირდაპირი);</li> <li>• ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფორმების შევსება.</li> <li>• საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა;</li> <li>• საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა;</li> <li>• წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთების შესახებ მონაცემების იდენტიფიკაცია;</li> <li>• საკუთარი კაპიტალის ოდენობის გაანგარიშება წლის ბოლოსთვის;</li> <li>• საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების შედგენა.</li> <li>• ინფორმაციის პოტენციური მომხმარებელები: შიდა და გარე;</li> <li>• სამეურნეო სუბიექტის ტიპური სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;</li> <li>• მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის სახეები: დანახარჯების კლასიფიკაცია;</li> <li>• პროდუქციის თვითღირებულება და დანახარჯთა ცხრილები;</li> <li>• პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები;</li> </ul>	7; 8	20	ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B

11	<ul style="list-style-type: none"> <li>• ძირითადი და ზედნადები დახარჯები მომსახურების თვითღირებულების კალკულაცია;</li> <li>• დანახარჯების ნორმატიული კალკულაცია;</li> <li>• მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის პერიოდულობა და ვადები;</li> <li>• კონფიდენციალური და არაკონფიდენციალური ინფორმაცია;</li> <li>• ანგარიშების ფორმების შედგენა ხელითა და ელექტრონული ფორმით;</li> <li>• კონფიდენციალური ინფორმაციის ანგარიშების ფორმების შევსება;</li> <li>• ინფორმაციის იდენტიფიცირების მეთოდები და გზები გასაცემი ინფორმაციის უფლებამოსილ პირთან შეთანხმების აუცილებლობა;</li> <li>• ინფორმაციის მიწოდებისა და დადასტურების საშუალებები</li> <li>• გასაცემი ინფორმაციის შესაძლო შედეგები;</li> <li>• უარყოფითი შედეგის დადგომის შემთხვევაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზები.</li> </ul>	7; 8	20	ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
12	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგადასახადო დეკლარაციების სახეები;</li> <li>• საგადასახადო დეკლარაციების შევსების წესები;</li> <li>• საგადასახადო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები.</li> </ul>	9	20	ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
13	<ul style="list-style-type: none"> <li>• დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სისწორე;</li> <li>• გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელ რისკები;</li> <li>• დეკლარაციის წარდგენის ვადები;</li> <li>• პასუხისმგებლობა დეკლარაციების ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში;</li> <li>• შევსებული დეკლარაციების გაგზავნის პროცედურა;</li> <li>• ქსელის ტექნიკური ხარვეზების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები.</li> </ul>	9	12	ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
	განმსაზღვრელი შეფასება	7,8,9	8	-	პრაქტიკული დავალება	A, B

# 1. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა: ბუღალტრული აღრიცხვა	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები - 411404	2. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებისა და პრინციპების ჩამოყალიბება;
სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა - 411413	1. პირველადი დოკუმენტების დახარისხება და ორგანიზაციის ანგარიშთა გეგმის შედგენა 4. პირველადი დოკუმენტებიდან მონაცემების გადატანა შესაბამის მაგროვებელ დოკუმენტებში; 5. მაკორექტირებელი გატარებების განხორციელება და დროებითი ანგარიშების დახურვა; 6. ბრუნვათა უწყისის შედგენა.
კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა - 0411410	1. პირველადი დოკუმენტების მონაცემების შეტანა კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში
ფინანსური ანგარიშგების შედგენა - 0411407	1. სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენა 2. სრული შემოსავლების ანგარიშგების შედგენა 3. ფინანსური მდგომა რეობის ანგარიშგების მომზადება 4. ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენა 5. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების შედგენა 7. ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლისთვის ანგარიშგების მომზადება
საგადასახადო დეკლარირება - 0411414	1. კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო დეკლარაციების შევსება 2. შევსებული დეკლარაციების წარდგენა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში

## დანართი N1

### პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

სასწავლებლის დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მომზადების პროგრამის სახელწოდება: „პრაქტიკული ბუღალტერია“

№	პერსონალის სახელი გვარი	კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება
1	თამარ თევდორაძე	შპს „მინჰოფერ-ვესტი“, შპს „არგო 2020“ და შპს „ვესტ-ვაკე დისტრიბუშენი“ მთავარ ბუღალტერი. ბუღალტრად მუშაობის 10 წლანი გამოცდილება.
2	ზეინაბ ახალაძე	პროფესიულ პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხელმძღვანელი, ფინანსური აღრიცხვის ბუღალტერი,



პროფესიული მომზადების პროგრამა „პრაქტიკული ბუღალტერია“

სასწავლო რესურსი

N	1.სასწავლო ლიტერატურა
1	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს);
2	ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს);
3	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები;
4	საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ;
5	ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისათვის;
6	აუდიტის ეთიკის კოდექსი.
7	ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს);
8	„ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ ე.ხარაბაძე;
9	„ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით“ დ.ჯალაღონია;
10	„ბუღალტრული აღრიცხვა“ ა.ხორავა, ნ.კვატაშიძე, ნ.სრესელი, ზ.გოგრიჭიანი;
11	„პრაქტიკული ბუღალტერია“ შ.ელიავა;
12	საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
13	საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, 2016 წლის 8 ივნისი.

	2. ინტერნეტ რესურსი
1	
2	
3	
4	
5	

	3. აუდიო/ვიდეო მასალა
1	
2	
3	
4	
5	

	4. თვალსაჩინოება
1	
2	
3	
4	
5	

პროფესიული მომზადების პროგრამა „პრაქტიკული ბუღალტერია ”

ლოკაცია და აღჭურვილობა

ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8, აუდიტორია № 102

№	დასახელება	რაოდენობა	საზომი ერთეული	მსმენელზე/სასწავლო გარემოზე
<b>აღჭურვილობა</b>				
1.	მსმენელის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	1	კომპლექტი	მსმენელზე
2.	პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგი და დასკამი)	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
3.	კომპიუტერი (დაინსტალირებული საბუღალტრო სასწავლო პროგრამით)	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
4.	კომპიუტერი (დაინსტალირებული საბუღალტრო სასწავლო პროგრამით)	1	კომპლექტი	მსმენელზე
5.	დაფა	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
6.	პროექტორი - დემონსტრირების ციფრული საშუალება	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
7.	პრინტერი (კომბაინი)	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
8.	ფლემ-მეხსიერება	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
<b>ნედლეული ნასალები</b>				
	სამლელი	1	ცალი	ჯგუფზე
	მარკერი	1	შეკვრა	ჯგუფზე
	ქაღალდი A4	2	შეკვრა	ჯგუფზე